

უაკ 78.02

## სამეტყველო ტექსტი მუსიკაში

ლევან გომელაური  
დოქტორანტი

ხელმძღვანელი: სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოც. პროფ. ე. ჭაბაშვილი  
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია გრიბოედოვის 8, 0108, თბილისი, საქართველო

### ანოტაცია:

სტატია ეხება ვერბალური ტექსტის საკომპოზიციო ტექნიკის მაწილად გამოყენების სახეებს. სტატიაში ცალ-ცალკე აღწერილია ვერბალურ ელემენტები - ფონემა, მარცვალი, სიტყვა, ტექსტი. თითოეული ვერბალური ელემენტის გამოყენების ხერხები კლასიფიცირებულია არმჟღერ და მჟღერ კატეგორიებად, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფუნქციით.

**საკვანძო სიტყვები:** ვერბალური ტექსტი, ვერბალური ელემენტები, საკომპოზიციო ტექნიკა, ფონემა, მარცვალი, სიტყვა, ტექსტი

თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკაში, ხშირად ვხვდებით ვერბალური ნაწილის სხვადასხვაგვარ ჩართულობას. ვერბალური ნაწილი მუსიკალურ ნაწარმოებში შეიძლება იყოს მხატვრული იდეის საფუძველი, ან ნებისმიერ მუსიკალურ საკომპოზიციო ტექნიკაში მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შექმნის წყარო. ასევე ვერბალური წყარო შესაძლოა გამოყენებულ იქნას მუსიკის შემქმნელი ელემენტების სისტემატიზაციისა და მათი ფორმის დონეზე რეგულირებისთვის. მუსიკაში გამოყენებული ვერბალური ტექსტი შედგება **4 სამეტყველო ელემენტისგან:** ფონემა, მარცვალი, სიტყვა, ტექსტი.

**ფონემა** [ბერძ. Phonema(ლინგვ.)] არის სამეტყველო ბგერა, როგორც ამა თუ იმ ენის ფონეტიკური სისტემის შემადგენელი ბგერითი ერთეული.

ყოველ ფონემას, ჩვეულებრივ, ერთი, ზოგჯერ ორი ან რამდენიმე სამეტყველო ბგერა შეესაბამება. ბგერის სისტემის თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში 33 ფონემაა, რომელთაგან ხუთი ხმოვანია (ა, ე, ი, ო, უ) და 28 თანხმოვანი (ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ჟ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ) ყოველი მათგანი თითო ასო-ბგერას შეესაბამება.

ფონემის გამოყენებას აქვს თავისი ისტორია. თავდაპირველად ფონემა გააზრებული იყო, როგორც ადამიანის ემოციის მედიუმი და არა ინფორმაციისა. დროსთან ერთად მისი გამოყენების ხერხები მრავლდებოდა, ფონემებზე მუშაობის ტექნიკა ფართოვდებოდა, ვითარდებოდა და იცვლებოდა. ხან იყო იმპულსების ფრქვევა, ხან კონკრეტული ხმაურის იმიტაცია და სხვა. თანამედროვეობაში კი არსებობს ტენდენცია, რომ ფონემა ორგანული მუსიკალური ელემენტი გახდეს ზოგადი ჟღერადობისთვის. ამისკენ გვიბიძგებს ადამიანის ხმის უნიკალურობაც, როდესაც მუსიკალური და ვერბალური მხარე ერთიანდება. ამ დროს ყურადღება მიმართულია ფონემის, როგორც პოტენციური მუსიკალური ერთეულის ძიებისკენ. ახალი აკუსტიკური შესაძლებლობების შესწავლამ დღევანდელი ტექნიკური პროგრესიდან და მედიის აქტუალურობიდან გამომდინარე მრავალი არსებული ბარიერი

დაარღვია მუსიკაში და წარმოქმნა ახალი დამოკიდებულებები ნებისმიერი ხმოვანი წყაროს მიმართ, ამგვარად გაჩნდა ელექტრონული მუსიკაც და მისი გამოყენების მოთხოვნილება, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი ობიექტი იყო ფონემა.

ჩვენ ქართული ენის მაგალითზე განვიხილავთ ფონემის არსს, თუმცა ნაწარმოებებში, რომელთაც მოგვიანებით გავაანალიზებთ, გარდა ქართული ენისა შევხვდებით სხვა ლინგვისტურ ერთეულებსაც - გერმანული, რუსული, ინგლისური, იტალიური, სანსკრიტი და სხვა.

ქართული ენის თანხმოვნები თავისთავად ქმნიან ცალკეულ სისტემებს-წყვილებს და სამეულებს, სადაც ერთიანდებიან ჟღერადობის მიხედვით: გამოიყოფა 5 სრული სამეული (ბ, ფ, პ - დ, თ, ტ - გ, ქ, კ - ძ, ც, წ - ჯ, ჩ, ჭ), რომელთაგან ყოველ სამეულში ერთი არის მჟღერი, ერთი ყრუ ფშვინვიერი და ერთიც - ყრუ მკვეთრი.

ცხრილი 1

	მჟღერი	ყრუ ფშვინვიერი	ყრუ მკვეთრი
	ბ	ფ	პ
	დ	თ	ტ
	გ	ქ	კ
	ძ	ც	წ
	ჯ	ჩ	ჭ

მექვესე სამეულიდან თანამედროვე სამწიგნობრო ენაში შემორჩენილია მხოლოდ ერთი ფონემა (ყ);

წყვილეულთა შორისაა (ზ, ს; - ჟ, შ; - ღ, ხ), წყვილებში ერთი ფონემა მჟღერია და ერთი ყრუ, რომლებიც თვით წყვილეულში ერთგვარ ოპოზიციას ქმნიან.

ცხრილი 2

	მჟღერი	ყრუ
	ზ	ს
	ჟ	შ
	ღ	ხ

არსებობს ცალეულებიც (ვ; მ; ნ; რ; ლ).

ენის ჟღერადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანალოგი მუსიკასთან არის თანხმოვანთა კომპლექსები, ქართულ ენაში ყველაზე გავრცელებულია ორ და სამწევრა ჯგუფები (მაგალითად, **ბგერა**, **მარცვალი**, **ბრწყინვა**, **ბრდღუნა** და ა.შ.), თუმცა ვხვდებით ოთხ და ხუთწევრა კომპლექსებსაც. ასოციაციურად ეს ფენომენი ძალზედ წააგავს მუსიკალურ აკორდებს, კლასტერებს, თანხმოვანებებს.

მიგვაჩნია, უმეტესი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფონემის ფენომენზე, რადგან ეს ენობრივი ელემენტი მუსიკასთან ყველაზე მჭიდრო კავშირშია. სწორედ მისი მეშვეობით შენდება უფრო მოზრდილი სამეტყველო ელემენტები და ამავე დროს ის არის ფონეტიკური თვალსაზრისით ამა თუ იმ ენის ჟღერადობის საწყისი, ზოგადად, ლინგვისტიკაში.

**მარცვალი** არის მეტყველების დანაწევრების ბუნებრივი ერთეული, რომელიც ერთ რიტმულ დარტყმად აღიქმება. მარცვალში, ჩვეულებრივ, შედის ერთი ხმოვანი ან ხმოვანი ერთი ან რამდენიმე თანხმოვნითურთ (მაგ.: "ი-ა"; "ვარ-დი"); ხმოვნით დაბოლოებულ მარცვალს ღია ეწოდება (მუ-სი-კა) თანხმოვნით დაბოლოებულს კი – დახურული (ალ-ბათ). მარცვლის ყველაზე ინტენსიურ ნაწილს მწვერვალი ეწოდება, მწვერვალის მეზობელ ნაწილებს – ფერდები; მარცვლის ბერათაგან მწვერვალიანს მარცვლის ბირთვი ეწოდება. ხმოვანი ყოველთვის ქმნის ბირთვს. ზოგ ენაში ბირთვი (არახმოვანთა მეზობლობაში), შეიძლება შექმნას ე.წ. მარცვლოვანმა სონანტმაც, ასეთია მაგალითად "რ" ჩეხურ სიტყვაში "ტრნკა".

მარცვლის გამოყენება მუსიკაში ძირითადად რიტმთან ასოცირდება. შეიძლება ასევე მარცვალთა თამაში სიტყვაში, ან ფონემებად დაშლა, ან ემოციის და შთაბეჭდილების გამოსახატავად სასიგნალო სისტემის შექმნა. მარცვალთა ჟღერადობამ შესაძლოა შექმნას საინტერესო ტემბრული ეფექტები, ასევე მუსიკალურ ტექსტში სიტყვის მარცვლებად დანაწევრებამ შექმნას ერთგვარი რიტმული ნახაზები და სხვა.

**სიტყვა** – წარმოადგენს ბერათშეერთებას, რომელსაც საგნობრივი (ლექსიკური) მნიშვნელობა ენიჭება და შესდგება ერთი ან რამდენიმე მარცვლისგან. სიტყვა დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულია და ენაში მას ბგერის, ან მარცვლისგან განსხვავებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია. მუსიკაში სიტყვა შეიძლება გამოყენებული იყოს ემოციის ან განწყობის გადმოსაცემად, ან შეიძლება იყოს გარკვეული ინფორმაციის სასიგნალო წყარო და სხვა.

**ტექსტი** – ლიტერატურული ტექსტი, ეს უკვე მოზრდილი ენობრივი ელემენტია. რომელიც აზრის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენება და გარკვეულ ლოგიკური ამოცანების გადაწყვეტის მეშვეობით აღწევს მიზანს. შესდგება ერთი ან მრავალი სიტყვისგან. ტექსტი შესაძლოა მუსიკის შინაარსობრივი გააზრების მიზნით ან მუსიკაში ლინგვისტური ერთეულის ტემბრულ-ჟღერადობრივი თავისებურების ხაზგასმისთვის იყოს ჩართული. ქართულ ენაში მახვილი უძრავია და მოუდის სიტყვის ბოლოდან მეორე ან მესამე ხმოვანს. ეს ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანია ენის ჟღერადობის მუსიკალურად გააზრებისთვის. სწორედ მახვილი ქმნის ერთგვარ მუსიკალურ პულსაციას ლინგვისტიკაში. ამგვარად ვერბალური ტექსტის ფენომენი შეიძლება გამოყენებულ იქნას რიტმული პულსაციის შესაქმნელად ან ხანგრძლივი სონორული ეფექტისთვის და სხვა.

\* \* \*

მუსიკალურ კომპოზიციაში ნებისმიერი ვერბალური ფენომენი (ფონემა, მარცვალი, სიტყვა, ტექსტი) შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც მხატვრულ-დრამატურული და/ან ტექნიკური რესურსი. ტექსტი, შინაარსის გათვალისწინებით თუ მისთვის აზრობრივ ასპექტში მნიშვნელობის მიუნიჭებლად, შეიძლება გამოიყენო, როგორც საკომპოზიციო ტექნოლოგიის ხერხი.

მუსიკაში ვერბალური ტექსტი მრავალი გაგებით შეიძლება იქნას გამოყენებული. გამოყენებული ვერბალური ნაწილი, შეიძლება სხვადასხვა მეთოდით იყოს წარმოდგენილი. ტრადიციულად, ფონემა ყველაზე ხშირად გვხვდება, რომელიმე ჩასაბერ ინსტრუმენტზე, მაგალითად, ფლეიტაზე ფრულატოს ეფექტისთვის ("რ"-სწარმოთქმა

მუსიკალური ბგერის წარმოების დროს), ან ორმაგი-სამმაგი ბგერების დაკვრისთვის ("დკ", "თქთ") და ა.შ. იგივე შეიძლება ვთქვათ მარცვალზე, სიტყვასა და ტექსტზე. ისინი უმეტესად ვოკალურ პარტიებში გვხვდება, ან მუსიკალური ტექსტის ახსნა-განმარტებისთვის ან საშემსრულებლო ხერხისა და ეფექტისთვის კომენტარისთვის (განსაკუთრებით თანამედროვე ნოტაციის პირობებში). თუმცა მათ, როგორც საკომპოზიციო ტექნიკის ნაწილი, თანამედროვე მუსიკაში ოდნავ განსხვავებული დანიშნულებითაც ვხვდებით. ნებისმიერი მათგანი შეიძლება გამოვლინდეს ინსტრუმენტზე შესრულებისას ეფექტის ან შტრიხის სახით. მაგალითად, კლარნეტში ლაპარაკი, დაკვრის დროს ბგერების სიმღერა, აზრობრივი და შინაარსობრივი დატვირთვით სიტყვის წარმოთქმა, ან რიტმული პულსაციისთვის მარცვლების მონაცვლეობა და სხვა. ზოგჯერ ვერბალური საწყისი - ფონემა, მარცვალი, სიტყვა ან ტექსტი, შესაძლოა, ზეგავლენას ახდენდეს მუსიკალურ ფორმაზე, ანდა ჟანრული მახასიათებლების ცვლილებებს იწვევდეს. მუსიკალური ნოტაციის ფარგლებში გვხვდება ასევე ვერბალური პარტიტურებიც.

თითოეული ვერბალური ელემენტისთვის შევიძლება მათი მუსიკაში გამოყენების ხერხების კლასიფიკაცია და დავავით ორ კატეგორიად: მჟღერი და არმჟღერი.

ვერბალური ტექსტი, რომელიც უშუალოდ არ ჟღერს ნაწარმოებში, მაგრამ წარმოადგენს საკომპოზიციო ტექნიკის ნაწილს მას დავარქვით **არმჟღერი**. არმჟღერი კატეგორია ზოგჯერ ერთგვარი რესურსია მუსიკალური მასალის სისტემატიზაციისა და კომპოზიციური სტრუქტურების კონსტრუირებისთვის, ზოგჯერ წარმოადგენს საშემსრულებლო, მხატვრულ გამომსახველობით კომენტარებს.

საკომპოზიციო ხერხს, რომელიც ვერბალური ტექსტის სახით ნაწარმოებში უშუალოდ ჟღერდება, როგორცაა სიმღერა, თქმა ან სასიგნალო წამომახილი ან ელ. მუსიკაში ბგერის ფიზიკურ დონეზე მიკრო პარამეტრების (სპექტრის სიხშირეების, ინტენსივობის და ა.შ.) დაშლა-დამუშავება, დავარქვით **მჟღერი**.

ვერბალური ტექსტის გამოყენება 3 ფორმით შეიძლება იქნას წარმოებული მუსიკაში: 1. **ვოკალური**; 2. **ინსტრუმენტული**; 3. **ელექტრო-აკუსტიკური**; ჩვენი კვლევის ფარგლებში, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანის ხმით (ვოკალი) და ინსტრუმენტის მიერ გამოყენებულ ხერხებზე. სამეტყველო ტექსტი შეიძლება იყოს გაჟღერებული, როგორც მღერით, ასევე თქმით (speaker), შეიძლება ტექსტის წარმოთქმისას გაძლიერებული იყოს მუსიკალური პარამეტრები (მაგალითად, რიტმი (Sprechstimme), დინამიური ნიშნები და სხვა.), ან შეზავებული იყოს თქმა სიმღერასთან (Sprechgesang).

ქვემოთ "მჟღერ" და "არმჟღერ" კატეგორიებად დავაჯგუფეთ ვერბალური ელემენტების - ფონემის (მჟღერი)/ასობგერის (არმჟღერი), მარცვლის, სიტყვის, ტექსტის გამოყენების ხერხები. კლასიფიკაციაში ასევე გვხვდება ვერბალური ელემენტების გამოყენების ხერხები, რომლებიც შეიძლება ორივე კატეგორიით იყოს წარმოდგენილი.

### **ვერბალური ელემენტების გამოყენების ხერხები:**

#### **ასობგერა (არმჟღერი)**

ასობგერები სამი განსხვავებული ფუნქციით შეგვიძლია გამოვიყენოთ:

#### **I. ტექნიკური მინიშნებებისთვის:**

1. საკომპოზიციო სქემის აგებისას ნაწარმოების ნაწილებად დაყოფა;
  2. დინამიური ნიშნები (f, mp, sf და ა.შ.)
  3. ინსტრუმენტების შემოკლებული დასახელება \_ აბრევიატურა (S, A, Vln, FL. Hrp, და ა.შ.)
  4. ალელატორული სტრუქტურების დასახელებები;
  5. ნოტაციის ასობგერითი აღნიშვნა;
- II. ტექნიკური რესურსისთვის:**
1. ასობგერის (B,A.....) გაიგივება მუსიკალური სიმაღლეების ლათინურ დასახელებებთან.
  2. ასობგერის გაიგივება რიტმულ ერთეულთან.
- III. მხატვრული იდეის წყაროდ;**
1. ასობგერის ვიზუალური პლასტიკის გადატანა ინტონაციაში, ინტერვალში, აკორდში
  2. ასობგერის/იეროგლიფების გრაფიკის გადატანა მუსიკალურ ნოტაციაში ანუ პარტიტურის ვიზუალის მისადაგება.
  3. ასობგერის ვიზუალის მიხედვით ინსტრუმენტების განლაგება სცენაზე;

### ფონემა (მჟღერი)

ადამიანის ხმით (ვოკალი) და ინსტრუმენტისმიერ წარმოებული ფონემები შეგვიძლია გამოვიყენოთ 5 განსხვავებული ფუნქციით:

#### I. ტემბრული ეფექტისთვის;

1. ადამიანის ხმის, როგორც საკრავის მონაწილეობა ინსტრუმენტულ ანსამბლში, რომელიც საერთო სონორულ ჟღერადობაში ერწმის ფონემის გაჟღერებით.
2. ინსტრუმენტის მეშვეობით გაჟღერებული ფონემა. \_ ინსტრუმენტული საშემსრულებლო ხერხი, როდესაც ეფექტი ტემბრალურად ემსგავსება რომელიმე ფონემის ჟღერადობას. მაგალითად, ჯორაკზე დაკვრა \_ ჟღერს როგორც "ს..." ხემის ღრჭიალი ჩელოს სიმზე - ჟღერს "ხ...", კონტრაბასის კორაზე დაკვრა - ჟღერს "ბ..." და ა.შ.
3. ფონემის გამოყენება ინსტრუმენტული ეფექტისთვის, ძირითადად ჩასაბერ საკრავებში. მაგალითად, ფრულატოს ეფექტისთვის ფონემა "რ...", ორმაგი-სამმაგი ბგერებისთვის ფონემათა ჯგუფი "დკ-დკ" ან "თქთ-თქთ" და ა.შ. შესაძლოა ინსტრუმენტთან ერთად მღერა ან აქცენტირება, მაგალითად, ფონემით "დ" ან სხვა.
4. სხვადასხვა ფონემათა ერთდროული ჟღერადობით მიღებული სონორი.
5. ერთიდაიგივე ფონემის ტემბრულ-აკუსტიკური ეფექტი (ექო); სხვადასხვა აკუსტიკურ წერტილში განლაგებულ შემსრულებლებს შორის ფონემის გადაძახილით მიღებული ექოები.


#### II. ბგერის სიმაღლის მოდიფიცირება და რიტმულ-ინტონაციური ეფექტი;

1. ფონემის მონაცვლეობით ერთი მუსიკალური ბგერის სიმაღლის მიკროტონური ვარირება. მაგალითად, ხმოვნების ცვლა გაჭიმულ ბგერაზე ა.....ო.....ა.....ო, ან ა...მ....., ან ი.....ს, ან ე.....რ..... და ა.შ.მათ შორის ვოკალური მულტიფონებიც მიიღება იგივე ხერხით, შედეგად აქტიურდება და ჟღერდება ძირითადი ბგერის ობერტონები.
2. ფონემის ჟღერადობის ასოციაციური გადატანა ინტერვალში, აკორდში.

3. ფონემებად დაშლილი სიტყვიდან მიღებული რიტმული ფიგურაცია; ხშირად ამ ეფექტს ვაღწევთ ფონემების სხვადასხვა ხმაში განაწილებით.

4. ფონემებად დაშლილი სიტყვით მიღებული ბგერების მიახლოებითი სიმაღლეები. მაგალითად, "ანგელოზი"

სქემა 1



### III. ლინგვისტურ-ფონეტიკური მიხრილობისთვის;

სხვადასხვა ენაში ერთიდაიგივე ფონემა სხვადასხვაგვარად გამოითქმის, რაც მის ტემბრულ და არტიკულაციურ ბუნებაში ვლინდება, მაგალითად, ქართული "რ"-ს ჟღერადობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ინგლისური "რ"-სგან და ა.შ.

IV. ფონემის ან ფონემათა კოპლექსის გაჟღერებით ბიოლოგიურ-ნატურალური ან გარემოს ხმების იმიტირება;

მაგალითად, სიცილი, ჩახველება, ქარის ხმა, საათის წიკ-წიკი, ცხოველის ხმების მიბადვა, მატარებლის ხმა და ა.შ;

V. ემოციის გამოხატვით წარმოქმნილი ფონემების ან ფონემათა ერთობლიობის ჩართვა მუსიკალურ ფაქტურაში.

მაგალითად, შორისდებულები ს(უ)... ჩ(უ)... ჩჰმ... - ფონემური ჟღერადობისაა და ლიტერატურული გამოხატვა ანიჭებს მარცვლის ფორმას.

### მარცვალი (არმჟღერი)

მარცვლები არმჟღერ კატეგორიაში ძირითადად წარმოდგენილია რიტმულ-ინტონაციური რესურსის მისაღებად, არსებობს:

1. მარცვლის გაიგივება რიტმულ ერთეულთან, ტექსტის რითმადან მიღებული რიტმული ფიგურაცია.

2. ტექსტში ამოკითხული მარცვლებიდან(სი-ლა-მაზე, დო-ლა-ბი,) მიღებული მუსიკალური სიმაღლეები ანუ მარცვლების გაიგივება მუსიკალურ სიმაღლეებთან (ხშირად ალელატორულ საკომპოზიციო ტექნიკაში), თავისთავად რიტმული ნახაზიც მიიღება მარცვალთა კომბინაციის შესაბამისად.

3. ასევე ზემოთ აღწერილი მეთოდის კომბინაცია: მარცვალი = კონკრეტულ მუსიკალურ ბგერას + რიტმული ერთეული;

4. მეტრის ცვლა სიტყვის მარცვლებად დაყოფის შედეგად (ტრადიციულ მუსიკაშიც ხშირად გვხვდება)

5. უმცირესი მუსიკალური ფორმები (მოტივი, ფრაზა, წინადადება) დაკავშირებული ვერბალურ ტექსტთან, რაც ძირითადად განისაზღვრება მარცვლების რაოდენობით ტექსტში, თვით მუსიკალური ბგერის და პაუზების გრძლიობებიც კი წარმოთქმულ სამეტყველო მარცვლებს შორის არსებულ დისტანციაზე და ტემპზე დამოკიდებული. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს როგორც არმჟღერი, თუ ინსტრუმენტულ მუსიკაში განხორციელდა, ასევე მჟღერი, თუ ადამიანის ხმაც მონაწილეობს.

### მარცვალი (მჟღერი)

მარცვლები მჟღერ კატეგორიაში წარმოდგენილია განსხვავებული ფუნქციით:

1. რითმაში მარცვლების ოსტინატური მონაცვლეობა - იქმნება ინტონაცია, სადაც მარცვალში აქტიურ ფონემათა ჯგუფი მთლიანი მასალის რიტმულ-ინტონაციურ ფონს ქმნის

2. მარცვლის ჟღერადობის ფონემური რესურსის გამოყენება (გლოსოლალიები, ტა,ტა,ტა; ლა,ლა,ლა; და სხვა). ასევე ვოკალურ მუსიკაში ინსტრუმენტის მიბადვის ხერხი (დუმ... ჰამ... ჰამ...).

3. ადამიანის ხმის, როგორც საკრავის მონაწილეობა, ინსტრუმენტულ ანსამბლში, რომელიც სონორულ ჟღერადობაში ერთვება მარცვლის გაჟღერებით.

4. მარცვალთა გადამახილით მიღებული ექოები - ტემბრულ-აკუსტიკური ეფექტი; სხვადასხვა აკუსტიკურ წერტილში განლაგებულ შემსრულებლებს შორის მოძრავიმარცვალი.

### სიტყვა (არმჟღერი)

სიტყვა არმჟღერ კატეგორიაში შეიძლება ორი ფუნქციით იყოს გამოყენებული მუსიკაში, ერთის მხრივ, როგორც დამატებითი ინფორმაციული წყარო, მეორეს მხრივ, როგორც სტრუქტურული რესურსის წყარო:

#### I. ინფორმაციული წყარო მიღებული სიტყვის მნიშვნელობიდან:

1. სიტყვა რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების იდეას: სათაური, მაგალითად, ბეთჰოვენის სიმფონია "გმირული", ბერლიოზის "ფანტასტიკური", ვერდის "ატტილა" და ა.შ.

2. სიტყვა რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ტემპს (Allegro ანუ ჩქარა; ritenuto ანუ შენელება), განწყობას (Grave ანუ მძიმედ), დინამიკას (crescendo/diminuendo ანუ ხმოვანების გაძლიერება/შესუსტება), ჟანრს ან ფორმას (Menuet, Aria, Fuga), ინსტრუმენტების შემადგენლობას (Trio, Duet) და ა.შ.

3. სიტყვა ვიზუალიზაციისთვის, რომელიც შემსრულებელს ინფორმაციას აწვდის შესრულების ხერხის (მტრიხი) ასოციაციური წარმოსახვისთვის. მაგალითად, ფრანგული martele ნიშნავს ჩაქუჩის ჩარტყმის მაგვარად, ან წვიმის წვეთებივით, ან arco ანუ ხემით, მორზეს ანბანის მაგვარად, ქარის ხმა, susurando ანუ ჩურჩულით და ა.შ.

4. სიტყვა სიგნალი – მაგალითად, *Da Capo al Fine* (D.C. *al Fine*), *Da Capo al Coda*, მინიშნებები დირიჟორისთვის და ა.შ.

**II. სიტყვა, როგორც მუსიკალური პარამეტრების რესურსის წყარო:**

1. სიტყვების (სახელები) მიხედვით ფორმის შექმნა.
2. სიტყვის გაიგივება რიტმულ ფიგურაციასთან - სიტყვის რიტმული ნახაზის გადატანა მუსიკალურ ჟღერადობაში.
3. სიტყვის ჟღერადობრივი პლასტიკის გაიგივება მუსიკალურ სიმაღლეებთან. სიტყვის ინტონაციური პლასტიკა - სიტყვაში მარცვალთა ინტონაციური ურთიერთდამოკიდებულება გადატანილი მუსიკალურ ბგერებში.  
ბოლო ორი ხერხი მჟღერ კატეგორიაშიც გვხვდება, თუ ვოკალურ პარტიას მივუსადაგებთ.

**სიტყვა (მჟღერი)**

სიტყვა მჟღერ კატეგორიაში შეიძლება სამი ფუნქციით იყოს გამოყენებული მუსიკაში: ტექნიკური დანიშნულებით, სტრუქტურული რესურსის წყაროდ და მხატვრულ-გამომსახველობითი ტემბრული დატვირთვით. ასევე შეიძლება ერთი და იგივე სიტყვას გაჟღერებისას ერთდროულად რამდენიმე ფუნქცია გააჩნდეს.

**I. ტექნიკური დანიშნულებით:**

1. სიტყვა სიგნალი - საანსამბლო ხერხი.
2. სიტყვა, როგორც პულსარი - ერთიდაიგივე სიტყვის მრავალჯერადი გამეორებით

**II. მუსიკალური რესურსის წყარო:**

1. სიტყვის დაშლა სხვადასხვაგვარი მუსიკალური ფორმის (მოტივი, ფრაზა) შესაქმნელად;
2. სიტყვის დაშლა ფაქტურის შექმნის მიზნით (პუანტილისტური სტილი);

**III. მხატვრულ-გამომსახველობითი ტემბრული ეფექტისთვის:**

1. სიტყვა ექოსმაგვარი აკუსტიკური ეფექტისთვის - ერთი სიტყვის გამეორება კლებადი დინამიური ნიუანსით განაწილებული სხვადასხვა აკუსტიკურ წერტილებში განლაგებულ ინსტრუმენტალისტებსა ან ვოკალისტებს შორის (შეიძლება იყოს თქმული ან ნამღერი).
2. ადამიანის ხმის, როგორც საკრავის მონაწილეობა ინსტრუმენტულ ანსამბლში, რომელიც სონორულ ჟღერადობაში ერთვება სიტყვის გაჟღერებით.
3. სიტყვა ტემბრულად შეზავებული ინსტრუმენტის ჟღერადობასთან, რომელსაც ინსტრუმენტალისტი წარმოთქვამს დაკვრის დროს.
4. სიტყვაში შემავალი ვერბალური ნაწილებისათვის (დაშლილი მარცვლებად, ფონემებად/ასობგერებად) მხატვრულ გამომსახველობითი პარამეტრების მინიჭება. ეს ხერხი თავისთავში მოიცავს ზემოთ აღწერილი უფრო მცირე ზომის ვერბალური ელემენტებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხერხის ერთობლიობას.

**ტექსტი (არმჟღერი)**

არამჟღერი ტექსტი მუსიკაში გვხვდება 5 ფუნქციით:

**I. ვერბალური ტექსტით მუსიკის ფაზულის მიწოდება:**

1. დასათავურება;



2. ეპიგრამის წამმღვარება;
3. მუსიკალური იდეის ანოტაცია ანუ შექმნის პროცესის აღწერა.
4. შემსრულებლისთვის ნაწარმოების სტრუქტურის აწყობის ინსტრუქცია;
5. საშემსრულებლო ხერხების ახსნა-განმარტებები;
6. ინსტრუმენტების აღწერა-განლაგება და ა.შ.

#### **II. ვერბალური ტექსტის ზემოქმედება მუსიკალურ ჟანრზე:**

1. ვერბალური ტექსტის ზემოქმედებით მუსიკაში ჩნდება ლიტერატურული ჟანრების დასახელებები (აფორიზმი, ფსალმუნი, იგავ-არაკი, ანდაზა).
2. ვერბალური ტექსტის გამოყენებას, განსაკუთრებით XX საუკუნეში, მუსიკაში შემოაქვს მუსიკალურ-ლიტერატურულ ჰიბრიდული ჟანრები (მუსიკალური ნოველა, მუსიკალური რომანი, პოლიფონიური ლექსი).
3. ვერბალური ტექსტის გამოყენებამ ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა ექსპერიმენტული მუსიკის ისეთი მიმართულებების წარმოშობაზე, როგორცაა "საკრავების თეატრი" და მულტიმედია.

#### **III. ვერბალური ტექსტის ზემოქმედება ფორმაზე:**

1. სიუჟეტიდან გამომდინარე, მუსიკალური ჩანაფიქრის განხორციელება. ლიტერატურული ფორმის გადმოტანა მუსიკაში.
2. არჩეული ტექსტის მიხედვით ფორმის შექმნა, რაც ტექსტში ასობგერათა შემადგენლობით და მათთან გაიგივებული მუსიკალური ინტონაციების მიხედვით მიიღწევა

**IV. ვერბალური ტექსტის ზემოქმედებამ წარმოშვა მუსიკის თეატრალიზების ფენომენი.**

**V. ვერბალური ნოტაცია, რომელიც ზოგიერთი კომპოზიტორისთვის სტილის დამახასიათებელ მაჩვენებლად ითვლება.**

### **ტექსტი (მჟღერი)**

ვერბალური ტექსტის ჟღერადობა შეიძლება 2 განსხვავებული ფუნქციით გამოვიყენოთ:

#### **I. ტემბრულ-მხატვრული გამომსახველობითი ხერხები:**

1. ვოკალურ მუსიკაში გვხვდება ტექსტის გამღერების მრავალი ხერხი: Recitative, Bel canto, Sprechtimme, Sprechgesang, falsetto, Scat singing (ჯაზი), Soul style singing, Country style singing, ტუვის throat singing, ქართულის "კრიმანჭული" (ფოლკლორი) და ა.შ.
2. ინსტრუმენტალისტის/ების მიერ ვერბალური ტექსტი შეიძლება იქნას
  - ა) წარმოთქმული ინსტრუმენტში (ძირითადად ჩასაბერი);
  - ბ) გამღერებული ინსტრუმენტში ან გამღერებული ინსტრუმენტის თანხლებით;
  - გ) დიალოგის სახით წარმოთქმული;
  - დ) ერთდროულად რამდენიმე შემსრულებლის მიერ წარმოთქმული ტექსტის დაშრეველით მიღებული სონორული ეფექტი;
  - ე) წამომახებით თქმული, ზოგჯერ აქცენტებისგან რიტმულ ეფექტს ქმნის;
  - ვ) შემსრულებლებში გადანაწილებული მთლიანი ტექსტის მონაკვეთები.

3. ვერბალური ტექსტი წარმოთქმული დრამატული მსახიობის (სპიკერის) მიერ მონოლოგის სახით, ან მსახიობების მიერ თეატრალიზებულ მუსიკალურ ნაწარმოებებში;

4. ტექსტი გაჟღერებული ერთდროულად სხვადასხვა ლინგვისტური ენით, რაც იძლევა ტემბრულად განსხვავებული ჟღერადობებს და მათ ერთობლიობას;

5. ადამიანის ხმის მონაწილეობა ინსტრუმენტული ანსამბლის სონორში, როგორც ახალი ტემბრის საკრავი, და ვერბალური ტექსტის გაჟღერებით ტემბრალური შეფერილობის მიიღწევა ენის ჟღერადობიდან გამომდინარე.

6. ტექსტი, როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი იდეის კოდური ნიშანი.

### **I. ტექნიკური ხერხები:**

1. ტექსტის მოდიფიკაცია მუსიკალურ აზროვნებაში:

ა) ლიტერატურული ტექსტის ცვლილება მუსიკალურ ნაწარმოებში გამოყენების მიზნით, რაც გულისხმობს ტექსტის დაშლას ვერბალურ კატეგორიებად (ფონემა, მარცვალი, სიტყვა);

ბ) ლიტერატურული ნაწარმოების/ების ტექსტის დეფრაგმენტაცია და ახალი ვერბალური კონსტრუქციების აგება (უმეტეს შემთხვევაში ტექსტის), როგორც აზრობრივად გამართული, ასევე მხოლოდ ტემბრალურ შეფერადებასთან დაკავშირებული.

გ) დეფრაგმენტირებული ვერბალური ტექსტით ხელმძღვანელობა და სხვადასხვა მუსიკალური ფორმების კონსტრუირება.

2. ინსტრუმენტალისტის/ების მიერ წარმოთქმული ტექსტი სასიგნალო ფუნქციით.

3. ჟღერადობის სხვადასხვა აკუსტიკური ეფექტები დაკავშირებული, როგორც განლაგებასთან, ასევე ელექტრო-აკუსტიკურ მუსიკასთან (მაგალითად, Loop).

4. ვერბალური ტექსტის გაჟღერების ზემოქმედება ნაწარმოების ფორმის აღქმაზე, უმეტესად, ჰიბრიდულ და ლიტერატურულ ჟანრებში.

5. ტექსტი, როგორც კოდური ნიშანი დატვირთული საშემსრულებლო მიზნით.

\* \* \*

ზემოთ აღწერილი ხერხები, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეხება ვოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკას. გვინდა ცალკე გამოვყოთ ელექტრო-აკუსტიკურ მუსიკაში სამეტყველო ტექსტის მოდიფიკაციის ხერხები. ყველაზე გავრცელებულია ფონემაზე და ტექსტზე მუშაობის უამრავი ხერხი, არსებობს:

1. ფონემის სპექტრული ანალიზით ტემბრული რესურსის შექმნა;

2. ფონემის ლინგვისტური თავისებურების გამოყენება ელექტრონულ მუსიკაში.

3. ფონემის აკუსტიკურ პარამეტრებად დაშლა (ინტენსივობა, რიტმული-ინტონაციური და ა.შ.).

4. ფონემა გაიგივებული მუსიკალური ბერის სიმაღლესთან სპექტრული ანალიზის საფუძველზე და ანალიზის შესაბამისი შედეგების და მიხედვით შესრულებული ამორჩეულ ინსტრუმენტზე. ფონემის სპექტრული ანალიზით მიღებული შედეგების მუსიკალურ პარამეტრებთან შეფარდება.

5. ვერბალური ტექსტის აკუსტიკური ანალიზი და მისი მოდიფიკაცია ელექტრონულ მუსიკაში.

\* \* \*

მუსიკალურ ნაწარმოებებში ვერბალური ტექსტის გამოყენების ხერხების შესწავლის საფუძველზე ვასკვნით, რომ ზოგჯერ ლიტერატურული ფორმა ზემოქმედებს მუსიკალურ ფორმაზე და პირიქით. ჩვენი აზრით ვერბალური და მუსიკალური საწყისების ურთიერთინტეგრირების პროცესი და საშუალებები თავისთავადია, ისინი ბუნებრივად ისწრაფვიან ერთმანეთისკენ.

ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ვერბალური ტექსტის მუსიკაში გამოყენების ამოუწურავი შესაძლებლობები არსებობს, ის დამოკიდებულია ავტორთა ინდივიდუალურ გადაწყვეტაზე, რომელზეც ასევე ზემოქმედებს ის საკომპოზიციო ტექნიკა, რომლის კანონზომიერებებსაც მუსიკის შექმნის პროცესში ითვალისწინებენ ავტორები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ანდლულაძე ნ. Homo Cantor. თბილისი: გამომცემლობა “ქრონოგრაფის” სტამბა, 1997

ძიძიგური შ. საენათმეცნიერო საუბრები. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1975

არუთინოვი-ჯინჭარაძე დ., ნადარეიშვილი მ. მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, II გამოცემა 2012

არუთინოვი-ჯინჭარაძე დ., ტაბლიაშვილი მ. პოლიფონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, 2016

ქავთარაძე მ. (2012). მუსიკოლოგიური ძიებანი II (მ. ქავთარაძე, რედ.). სიტყვასთან დამოკიდებულების პრობლემა XX საუკუნის მუსიკაში. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი. თბილისი 2012

ვირსალაძე მ. ალექტორიკა ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში (ნოდარ მამისაშვილის, რევაზ კიკნაძისა და ეკა ჭაბაშვილის ნაწარმოებების მაგალითზე). სადისერტაციო ნაშრომი სამუსიკო ხელოვნ. დოქტ. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2011

ჭაბაშვილი ე. მულტი-ტოპოფონიური საკომპოზიციო ტექნიკის ცნებისთვის. სადისერტაციო ნაშრომი სამუსიკო ხელოვნ. დოქტ. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2011

ორი ცხრილი, ერთი სქემა.

---

Article received 2016-08-01